Samtex 20

პრიალა ლატექსური საღებავი დიდი დატვირთვების მქონე,
შიდა ზედაპირებისათვის. რეცხვამედეგობის კლასი 1.

პროდუქტის აღწერა

დანიშნულება	ინტერიერის ზედაპირებზე, გლუვი, პრიალა და ელეგანტური დანაფარების შესაქმნელად. მაღალი მედეგობის გამო განსაკუთრებით გამოსადეგია დიდი დატვირთვების მქონე ზედაპირებისათვის. საღებავის თხელი ფენა პრიალა ეფექტით ხაზს უსვამს მასალის სტრუქტურას და ჩინებულია სტრუქტურული, რელიეფური, ტვიფრული და შუშა-შპალერების დასაფარად. მავნე ემისიებისა და გამხსნელების გარეშე. კარგად ირეცხება და მედეგია სადეზინფექციო საშუალებების მიმართ.
გამოყენების სფეროები	სკოლები, საბავშვო ბაღები, საოფისე შენობები, რესტორნები, სამედიცინო დაწესებულებები, ჰოლები.
თვისებები	■ წყალდისპერსიული, ეკოლოგიური, მინიმალური არომატით ■ გამხსნელებისა და მავნე გამონაყოფებისაგან თავისუფალი (E.L.F.) ■ სითეთრის მაღალი ხარისხი ■ კარგი დაფარვის უნარი ■ დიფუზიური ■ სადეზინფექციო და საყოფაცხოვრებო საშუალებების მიმართ მედეგი ■ მარტივი მოხმარებისათვის
მასალის შემკვრელი	სილიკონის ფისის ემულსია.
შეფუთვა	ბაზა 1 (თეთრი): 1.25ლ. 2.5 ლ, 5 ლ, 10 ლ, 15 ლ. ბაზა 2 (შეფერადების შემდგომ): 1.25ლ. 2.5 ლ, 5 ლ, 10 ლ. ბაზა 3 (შეფერადების შემდგომ): 1.25ლ. 2.5 ლ, 5 ლ, 10 ლ.
ფერი	ბაზა 1 თეთრი, შესაძლებელია გამოვიყენოთ შეფერადების გარეშე ბაზა 2 და 3 გამქვირვალე, გამოიყენება მხოლოდ შეფერადების შემდეგ. Samtex 20 ბაზა 1 კოლირდება ხელით CaparolColor და AVA ფერთა კოლექციების ყველა ტონებში. ფერთა სხვაობის (აჭრელება) თავიდან ასაცილებლად ხელით შეფერადებისას საჭიროა საღებავის მთლიანი რაოდენობა იქნას ერთმანეთში გულდასმით შერეული. 100 ლიტრის, ან მეტი ოდენობის საღებავის ფერზე დაყენებისას შესაძლებელია პროდუქტის ქარხნული წესით შეფერადება. Samtex 20 კოლირდება მანქანური მეთოდით ColorExpress-ის სისტემის CaparolColor, Caparol 3D, NCS, Panorama, RAL და ფერთა სხვა კოლექციების ყველა ტონებში. ინტენსიურ და სუფთა ტონებს, მაგალითად: ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი და ა.შ., გააჩნია ნაკლები დაფარვისუნარიანობა. რეკომენდებულია შუალედური ფენის დატანა შესაბამის პასტელურ ტონში, პიგმენტირებული თეთრი საღებავის ბაზაზე (ბაზა 1). შესაძლებელია საჭირო გახდეს განმეორებითი, დამასრულებელი ფენის დატანა.
სიპრიალის ხარისხი	პრიალა
შენახვის პირობები	შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას.

CAPAROL

ტექნიკური პარამეტრები	■ რეცხვამედეგობა: კლასი 1, "რეცხვამედეგი" DIN EN 13 300-ის თანახმად ■ კონტრასტი (დაფარვისუნარიანობა): კლასი 2, 7მ2/ლ ან 170 მლ/მ2 ■ ნაწილაკების მაქსიმალური (grit) ზომა: თხელი (<100 µm) ■ სიმკვრივე: დაახლოებით 1.4 გ/სმ3
შენიშვნა	შეფერადების შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს ტექნიკური პარამეტრების უმნიშვნელო ცვლილება.

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები	ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, სუფთა და თავისუფალი ადჰეზიის დამაბრკოლებელი ნივთიერებებისაგან.
ზედაპირის მომზადება	**PII და PIII-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის ბათქაშები:** მყარი, კარგად შემწოვი ბათქაშები შეღებეთ წინასწარი დამუშავების გარეშე. ფოროვანი, შემწოვი და ქვიშანაყარი ბათქაშები დაგრუნტეთ OptiGrund-ით ან CapaSol LF-ით. **PIV ჯგუფის ცემენტის ხსნარების თაბაშირი და მზა ბათქაშები:** დაგრუნტეთ Caparol-Haftgrund-ით, ან SamtGrund - ით. თაბაშირის ბათქაშები არათანა-ბარი ზედაპირით გაშლიფეთ, გაწმინდეთ მტვრისგან და დაგრუნტეთ Caparol-TiegrundTB-ით. **სამშენებლო თაბაშირის ფილები** შემწოვი ფილები დაგრუნტეთ აკრილური ჰიდროზოლით - OptiGrund ან ღრმა გრუნტით - Caparol Tiefgrund TB. მკვრივი და გლუვი ზედაპირის ფილები დაგრუნტეთ ადჰეზიური გრუნტით - Caparol Haftgrund, ან SamtGrund **თაბაშირ-მუყაოს ფილები:** ფითხი გაშლიფეთ. გაშლიფული ადგილები გაამყარეთ Caparol Tiefgrund TB-ით. დაგრუნტეთ Caparol Haftgrund-ით, Caparol EinlassGrund-ით, OptiGrund-ით, ან CapaSol LF-ით. ფილები, რომლებიც შეიცავს წყალში ხსნად, შემაფერადებელ ნივთიერებებს, დაგრუნტეთ AquaSperrgrund-ით. **ბეტონი:** მოაცილეთ ცარცვადი, ქვიშიანი და ფხვნადი ნივთიერებები. **ფოროვანი ბეტონი:** დაგრუნტეთ Capaplex-ით, გაზავებული წყალთან 1:3 პროპორციით. **აგურის და სილიკატური აგურის წყობა:** შეღებეთ წინასწარი მომზადების გარეშე. **ზედაპირები კარგი მზიდი თვისებებით** მქრქალი, სუსტად შემწოვი ზედაპირები შეღებეთ დაუმუშავებლად. პრიალა და ლაქით დაფარული ზედაპირები გაშლიფეთ და დაფარეთ Caparol Haftgrund-ით, ან SamtGrund-ით. ფოროვანი, ფშვნადი, ან ნესტის შემწოვი ზედაპირები დაგრუნტეთ Caparol OptiGrund ან Capasol LF.-ით. **ზედაპირები ცუდი მზიდი თვისებებით** ლაქის, ემალის, დისპერსიული საღებავების და ხელოვნური ფისის ბათქაშების დანაფარები აუცლებლად მოაშორეთ. მინერალური საღებავების გამოუსადეგარი დანაფარები მოაცილეთ მექანიკურად და გაწმინდეთ მტვრისგან. დაგრუნტეთ Caparol –Tiefgrund TB-ით. **დანაფარები წებოვანი საღებავით** საფუძვლიანად ჩამორეცხეთ. დაგრუნტეთ Tiefgrund TB-თი. **რელიეფური, ბოჭკოვანი, ტვიფრული ქაღალდის შეუღებავი შპალერი** შეღებეთ წინასწარი მომზადების გარეშე. **არამყარად მიმაგრებული შპალერი** მთლიანად მოაცილეთ. წებოს და ქაღალდის ნარჩენები მოაშორეთ. დაგრუნტეთ Tiefgrund TB-თი. **ობმოდებული და სოკოთი დაზიანებული ზედაპირები** ობით და სოკოთი დაზიანებული ადგილები გაწმინდეთ წყლით, მექანიკური საშუალებებით. ჩამორეცხეთ Capatox-ით, ან FungiGrund-ით, შემდგომ გააშრეთ. საგრუნტავი ფენა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად დაზიანებულია ზედაპირი. ობისგან/სოკოსგან ძლიერად დაზიანებულ ზედაპირებზე დამასრულებელ ფენად წაუსვით Indeko-W, Malerit-W ან Fungitex-W. **ნიკოტინის, წყლის, ჭვარტლის და ცხიმიანი ლაქებით დაბინძურებული ზედაპირები** ჩამორეცხეთ ცხიმის მოსაშორებელი საშუალებით (მაგალითად: ჭურჭლის სარეცხი საშუალება), შემდგომ კარგად გააშრეთ. გამშრალ ზედაპირზე შემორჩენილი წყლის ლაქები გახეხეთ და გაწმინდეთ. პირველ ფენად წაუსვით Caparol AquaSperrgrund. ძლიერად დაბინძურებულ ადგილებზე დამასრულებელ ფენად გამოიყენეთ Caparol IsoDeck.

ხის ზედაპირები
წაუსვით წყალდისპერსიული, ეკოლოურად უსაფრთხო Capacryl Acryl-ის, ან Capadur Color-ის ხის საღებავით.

მცირე დეფექტები
მცირე დეფექტები უნდა იქნას გასწორებული/ამოვსებული ფითხით Akkordspachtel. საჭიროების შემთხვევაში დაიგრუნტოს დამატებით.

დატანის მეთოდები
დატანილ იქნას სამღებრო ფუნჯით, გორგოლაჭით ან უჰაერო მიფრქვევის მეთოდით.

დაფარვის თანმიმდევრობა
დასაგრუნტი, ან შუალედური ფენა:
SamtGrund ან Samtex 20 გახსნილი მაქსიმუმ 10% წყალში.

დამასრულებელი ფენა:
Samtex 20 გახსნილი მაქსიმუმ 3% წყალში.

ხარჯი
დაახლოებით 120-140 მლ/მ^2-ზე ერთ ფენაზე გლუვი ზედაპირისთვის. ფაქტურული ზედაპირის შემთხვევაში მოსალოდნელია ხარჯის ზრდა. ზუსტი ხარჯის გასაგებად საჭიროა არსებულ ზედაპირზე საცდელი დატანა.

გამოყენების პირობები
მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში:
ჰაერისა და ზედაპირის მინიმალური ტემპერატურა უნდა იყოს +5 C.

შრობის დრო
20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 4-6 საათში.
სრულად ზედაპირი მშრალია და მზადაა დატვირთვებისთვის 3 დღეში.
ჰაერის დაბალი ტემპერატურისა და მაღალი ტენიანობის პირობებში ეს ვადები მატულობს.

ხელსაწყოები
სამღებრო ფუნჯი, გორგოლაჭი, ან უჰაერო მიფრქვევით

ხელსაწყოების წმენდა
გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები გაირეცხოს წყლით.

შენიშვნა
შემაერთებელი ხაზების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად საღებავი უნდა წაესვას მთელ ზედაპირზე ერთი მოსმით, „სველი-სველზე"პრინციპით. კოლერების შედეგად შესაძლებელია უმნიშვნელო გადახრები საწყისი ტექნიკური მონაცემებიდან.

მითითება

ყურადღება
შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.
მუშაობის პროცესში იზრუნეთ მუდმივ განიავებაზე.
თვალებში მოხვედრის შემთხვევაში სასწრაფოდ გამოიბანეთ წყლით.
საფრქვევით შეღებვის შემთხვევაში არ შეისუნთქოთ წარმოქმნილი „ღრუბელი".
ნუ დაუშვებთ პროდუქტის გამდინარე წყლებში მოხვედრას.
დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ უსაფრთხოების ფურცელი.

უტილიზაცია
მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი გამხმარი ნაშთი შესაძლებელია უტილიზებული იქნას როგორც გამხმარი საღებავი ან სამშენებლო ნაგავი.

VOC
(აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)
პროდუქტის კატეგორია (A/c): 30 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 1 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

შემადგენლობა
ხელოვნური ფისის დისპერია, პიგმენტები, მინერალური შემავსებლები, წყალი, ადიტივები, კონსერვანტები.

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge